უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტის სამახსოვრო ბარათი

უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მოვალეობაა, დაიცვას უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესის და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნები, შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი აკადემიური მოთხოვნები და უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი რეგულაციები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - http://geomedi.edu.ge/.

1.სტუდენტის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია:

1.1. სტუდენტი ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხადოს კონტრაქტით დადგენილ ვადებში. კონტაქტის დარღვევის შემთხვევაში უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი მას.

სემესტრის გადასახადი არის ფიქსირებული თანხა, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სემესტრული გადასახადი სრულად, მიუხედავად იმისა რამდენ კრედიტზე არის დაშვებული (აკადემიური ჩამორჩენის ან სხვა მიზეზების გამო). ნებისმიერი დამატებითი კრედიტის აღების შემთხვევაში, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმდინარე სემესტრში სტუდენტი ვალდებულია თანხა დამატებით გადაიხადოს, კონკრეტული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის მიხედვით.

1.2. სტუდენტი ვალდებულია ყურადღებით გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებს, რათა ოპტიმალურად დაგეგმოს პირადი სასწავლო პროცესი ყოველი სემესტრის განმავლობაში.

1.3. 3-ჯერ ერთი და იგივე სასწავლო კურსის მოსმენის და უარყოფითი შეფასების შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს შეუწყვიტოს მას სტუდენტის სტატუსი.

1.4 სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

1.5 მობილობით გადმოსვლის შემთხვევაში ან აკადემიური ჩამორჩენის გამო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მიზნით სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს სასწავლო კურსი, რომელიც არ მიმდინარეობს მოცემულ სემესტრში:

ა) ასეთ შემთხვევაში სტუდენტი მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტის რექტორს აღნიშნული სასწავლო კურსის დანიშვნის შესახებ, სასწავლო სემესტრის დამთავრებიდან 1 კვირის ვადაში;

ბ) განცხადებები გადაეცემა შესაბამის დეკანატს რეაგირებისთვის;

გ) სტუდენტს დაენიშნება დამატებითი სასწავლო კურსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ კურსზე მსურველთა რაოდენობა არანაკლებია 5 სტუდენტისა;

დ) სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი სასწავლო კურსის საფასური კრედიტების მიხედვით, სასწავლო კურსის დაწყებამდე.

1.6 სტუდენტს აქვს უფლება დამატებითი სასწავლო კურსები აიღოს ძირითადი სემესტრების მიმდინარეობისას, რაც არ უნდა აღემატებოდეს სემესტრში 8 და 7 კრედიტს (ჯამურად წლიური დამატებითი კრედიტების რაოდენობა 15).

1.7. სტუდენტს აქვს უფლება არდადეგების პერიოდში, სასწავლო წლის ბოლოს, აიღოს დამატებითი სასწავლო კურსები, რომელთა კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 12 კრედიტს, რომლისთვისაც განისაზღვრება 6-კვირიანი ვადა. მე-7 კვირას ჩატარდეს დასკვნითი გამოცდა და არანაკლებ 5 დღის შემდეგ დამატებითი გამოცდა.

1.8 სტუდენტს აქვცს უფლება ისარგებლოს ბიბლიოთეკის რესუსით კვირაში 6 დღე 9:00-19:00 მდე.

1.9 სტუდენტი ვალდებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს დეკანატს , ხოლო სხვა საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართოს სტუდენტებთან ურთიერთობის სამსახურს.

1.10 სტუდენტს გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს მხოლოდ საგამოცდო ცხრილით დანიშნულ დღეს და გაცდენის შემთხვევაში მას არ ექნება საგამოცდო პერიოდში გაცდენილი გამოცდის ჩაბარების უფლება. გარდა საპატიო შემთხვევებისა (იხ. პუნქტი 3.2). სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება (FX შემთხვევაში) აქვს მხოლოდ დამატებითი გამოცდებისთვის დადგენილ ვადებში, იმავე სემესტრში რომელშიც ხორციელდებოდა სასწავლო კურსი.

1.11 გამოცდაზე მისული სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სტუდენტის ბარათი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე.

1.12. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტის ნაშრომი არ ექვემდებარება შეფასებას (ინფორმაცია გამოცდიდან მოხსნის თაობაზე დაფიქსირებულია საგამოცდო ცენტრის თანამშრომლის მიერ შესაბამისი ოქმით) და გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

1.13. სტუდენტი ვალდებულია:

- გამოცხადდეს საგამოცდო ცენტრში გამოცდის დაწყებამდე 10 წუთით ადრე;
- გამოცდაზე დაგვიანებული სტუდენტი, გამოცდაზე არ დაიშვება;
- საგამოცდო დარბაზში შესვლამდე გამორთოს მობილური ტელეფონი და დატოვოს სხვა პირად ნივთებთან ერთად სპეციალურად გამოყოფილ შემნახველ კარადაში, რომელიც ინდივიდუალურია ყველა სტუდენტისთვის;
- დაუშვებელია საგამოცდო ცენტრის დატოვება საგამოცდო დავალების დასრულებამდე.

1.14. კატეგორიულად აკრძალულია:

- საგამოცდო ადგილზე მობილური ტელეფონის, ე.წ „შპარგალკის“ მიტანა;
- გადაწერის მცდელობა;
- გადალაპარაკება, კარნახი, სხვისი დახმარება და სხვის მაგივრად დავალების შესრულება;

1.15. სტუდენტი გამოცდიდან მოიხსნება, გამოცდის აღდგენის უფლების ჩამორთმევით:

- მობილური ტელეფონის, ე.წ „შპარგალკის“, საგამოცდო ადგილზე აღმოჩენის შემთხვევაში; გადაწერის მცდელობისათვის;
- აუდიტორიაში ქცევის წესების დარღვევისათვის (ხმაური, დამკვირვებლის შენიშვნის უგულებელყოფა და ა.შ.);

1.16 საგამოცდო ნაშრომის შეფასების გაუქმება ხდება საგამოცდო ცენტრის უფროსის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა დამკვირვებლის ინფორმაციას და ვიდეოჩანაწერს. (იხ.1.12)

2. სასწავლო პროცესი და სტუდენტთა შეფასება:

2.1. სტუდენტის მიერ სწავლების პერიოდში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებას - მაქსიმუმ 60/70 ქულა; (რომელიც მოიცავს აქტიურობისა მაქსიმუმ 40/30 და შუალედური გამოცდის მაქსიმუმ 20/30 ქულას) სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე;

გ) დასკვნით გამოცდას - მაქსიმუმ 40/30 ქულა.

2.2. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტის მიერ მინიმუმ ფინალური გამოცდის 50%+1 ქულის მიღების შემთხვევაში.

2.3. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაგროვებული აქვს მინიმუმ 50% (შუალედური აქტივობები + შუალედური გამოცდა) ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის მიუხედავად შუალედური შეფასებებით დაგროვებული 51 ქულაზე მეტისა.

2.4. დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები:

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგებით დააგროვა 41-დან 50 ქულის ჩათვლით;

გამოცდის საპატიოდ გაცდენის შემთხვევაში (იხ პუნქტი 3.2).

3. შუალედური/დასკვნითი გამოცდის აღდგენაზე გასვლის პირობები:

3.1. სტუდენტი, რომელიც საპატიო მიზეზით გააცდენს შუალედურ/დასკვნით გამოცდას, ვალდებულია მიმართოს დეკანატს განცხადებით და შესაბამისი ცნობით, მისი ცნობისა და განცხადების განხილვის საფუძველზე, სტუდენტს ექნება ზემოთხსენებული გამოცდების აღდგენის უფლება.

3.2. გამოცდის გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, სტიქიური უბედურება ან საგანგებო მდგომარეობა.

4. კრედიტების მიხედვით სწავლის საფასურის გადახდის და დამატებითი სასწავლო სემესტრის დანიშვნის პირობები:

4.1. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სემესტრების ვადაში ვერ დაასრულებს პროგრამას, ყოველ დამატებით სემესტრში ვალდებულია გადაიხადოს სწავლის სემესტრული გადასახადი, ხოლო 30 კრედიტზე მეტის აღების შემთხვევაში სტუდენტი სემესტრის გადასახადს იხდის კრედიტების ჯამური რაოდანობის მიხედვით.

4.2. სასწავლო კურსში დადებითი შედეგის მიუღწევლობისას, მსურველ სტუდენტთა საკმარისი ოდენობის შემთხვევაში (არანაკლებ 5 სტუდენტი), სტუდენტი ახორციელებს თვითდაფინანსებით დამატებითი სასწავლო კურსის არჩევას, რადგან მსგავსი ტიპის საგნის დანიშვნა არ შედის სემესტრული სწავლის საფასურში, ნებისმიერი დამატებითი საგნის გავლის საფასური განისაზღვრება საგნის კრედიტების რაოდენობის მიხედვით.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა, სტატუსის შეჩერება.

5.1. სტუდენტს, რომელსაც კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია შეჩერების მომენტიდან 5 წლის განმავლობაში განცხადების საფუძველზე აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

5.2. წინა სემესტრში შეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში. გამონაკლის შემთხვევებში, სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

5.3. სტატუსის აღდგენის დროს, სტუდენტი იხდის მიმდინარე სემესტრის გადასახადს (მიმდინარე სასწავლო წლის საფასურის შესაბამისად). სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი თანხა არ გადმოდის მიმდინარე სემესტრის ანგარიშზე და უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

6. უნივერსიტეტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სტუდენტს ეკრძალება:

თამბაქოს მოწევა სასწავლო დაწესებულებიდან 50 მეტრის რადიუსით;

ალკოჰოლური სასმელების მოხმარება; ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ უნივერსიტეტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოჩენა; აზარტული თამაშები;

უნივერსიტეტის ინვენტარისა და აღჭურვილობის დაზიანება. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია აანაზღაუროს დაზიანებული ინვენტარის საფასური;

უნივერსიტეტის შენობის შიდა და გარე კედლების დაზიანება და დაბინძურება; უნივერსიტეტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება;

აკრძალულია უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი საქციელი, რაც ხელყოფს უნივერსიტეტის პრესტიჟს და იმიჯს.

7. სტუდენტის დრეს-კოდი და ჰიგიენის წესები:

- დაუშვებელია უნივერსიტეტში გამომწვევი ჩაცმულობით, მკვეთრი მაკიაჟით გამოცხადება;
- მედიცინის და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სავალდებულოა თეთრი ხალათის ტარება;
- კლინიკურ დისციპლინებზე დასწრების შემთხვევაში (კლინიკასა და სიმულაციურ კლინიკაში) დაუშვებელია სამედიცინო ფორმის გარეშე გამოცხადება, ასვე დაუშვებელია მკვეთრი სუნამოს, (პაციენტის შესაძლო მაღალი ალერგიული ფონის გამო) გაშლილი თმებითა და გრძელი ფრჩხილებით სიარული (პაციენტის ფიზიკალური მეთოდებით გასინჯვის გამო).

8. სტუდენტთა წამახალისებელი ღონისძიებები:

- უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩერთონ სპორტულ და სახელოვნებო სექციებში;
- მიიღონ მონაწილეობა, სპორტულ, კულტურულ და სოციალურ აქტივობებში;
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები სარგებლობენ საუნივერსიტეტო სტიპენტიით;
- სპორტულ და კულტურულ აქტივობებსა და კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში სტუდენტები სარგებლობენ საუნივერსიტეტო სტიპენტიით;
- შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კონფერენციებზე წარმატების მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტები სარგებლობენ საუნივერსიტეტო სტიპენდიით;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის განვითარების ფონდი აფინანსებს:
  სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილობას, სამეცნიერო კვლევის დაფინანსებას, საერთაშორისო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნებას.

გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს!